№ 60
შაბათი, 19 მარტი 1894

1877—1894

# ივერია

№ 60
შაბათი, 19 მარტი 1894

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
**გაზეთის დასაგარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას—სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.
**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი 8 კაპეიკი.

**დიდუბის ღვთის-მშობლის ეკკლესიაში.** ამ ჟამად იატაკსა სცვლიან და ეკკლესიაში დასაფლავებულთა საფლავების ქვები აყრილ იქმნება. მიცვალებულთა პატრონთ შეუძლიანთ წარმოადგინონ მარმარილოს ქვები ზედ-წარწერით. (2—1)

მეორედ დანიშნული ცამეტს ამა მარტისასა კრება ბორჩალოს მაზრის თავად-აზნაურთა არ შესდგა, რადგანაც კანონის მოთხოვნილებით თავად-აზნაურობა არ მოვიდა.

ამის გამო, **ბორჩალოს მაზრის კეთილ-შობილთ** წინამძღოლი დანიშნავს მაზრის **კრებას ოც-დაშვიდს ამა მარტისასა** და სთხოვს იმ თავად-აზნაურობას მაზრისასა, რომელთაცა აქვთ უფლება არჩევანებში დასწრებისა ამა კრებაზედ, მობრძანდნენ ზემოდ აღნიშნულ დღეს, თორმეტს საათზედ, დილით, ტფილისის კეთილ-შობილთ დეპუტატთა საკრებულო სადგურის დარბაზში, პუშკინის ქუჩაზედ, ექიმ კუკჯუანოვის სახლში, და ვიდრე კრება შესდგებოდეს, წარმოუდგინონ მას, წინამძღოლს, დეპუტატთა საკრებულო კანცელარიაში საბუთნი თავიანთ უფლებისა, რომელიც თუ არ წარმოადგინეს, არ იქნებიან ჩაწერილნი სიაში. (3—2)

ტფილისი, 19 მარტს

—

ევროპის სახელმწიფოთა პოლიტიკური დამოკიდებულება, რაც დღე მიდის, სულ უფრო და უფრო იხლართება და ისეთის ბურუსითა და ნისლით იმოსება, რომელშიც აღარაფერი არა სჩანს.

გამწვავებული მდგომარეობა გერმანიასა და რუსეთს შორის შემდეგ სავაჭრო ხელ-შეკრულობისა, რომელზედაც ეს ორი სახელმწიფო შეთანხმდა, სრულიად მოისპო და ახლა, როგორც რუსეთის, ისე გერმანიის მთავრობის მომხრე გაზეთებმა უეცრად იცვალეს კილო. სიძულილსა და ქადილს—დღეს მეგობრულ დამოკიდებულების სურვილმა და მშვიდობიანობამ დაუთმო ადგილი. იქნება ახლოა იყოს ის დრო, როდესაც ეს ორი ძლიერი იმპერია ისევ მაგრად ჩასჭიდებენ ხელს ერთი მეორეს? მაგრამ რუსთაველისა არ იყოს:

ღმერთმა ერთი ვით აცხონოს,
თუ მეორე არ წასწყმიდოს?

გერმანიის იმპერატორის დაწესებულმა ახალმა „კურსმა“, როგორც თი თონ უწოდებს რუსეთთან დამეგობრებას, რასაკვირველია, დიდი გავლენა იქონია ფრანგ-რუსთა სათუო კავშირზედ. როდესაც ფრანგები დარწმუნდენ, რომ რუსეთსა და გერმანიას შორის შესაძლებელია მორიგება მოხდესო, იმ წამსვე აღკრძალეს რუსის პურის შეტანა საფრანგეთში, რითიც დიდი ზარალი მისცეს რუსეთს. თუ ამასთან გავიხსენებთ სალიტერატურო კონვენციის უარის ყოფა რუსეთისაგან, რომელიც ფრანგებს საკმაო ზარალს აძლევს, მაშინ ჩვენს თვალს წინ ნათლად გამოიხატება იმ უსიამოვნობის სურათი, რომელიც ჩამოვარდნილი უნდა იყოს საფრანგეთსა და რუსეთს შორის.

სწორედ ამავე დროს, როდესაც მტრები ისევ უახლოვდებიან ერთმანეთს და მეგობრებს შორის იჭვი იბადება ერთი მეორის მიმართ,—ამ დროს გერმანიის მოკავშირე ავსტრიის იმპერატორი მიდის საფრანგეთში და იქიდგან დიდად პატივცემული და კმაყოფილი ბრუნდება ვენაში.

მეორეს მხრით იტალიაც, რომელიც აგრეთვე მოკავშირეა იმავე გერმანიისა, რადგანაც სასიამოვნო მუსაიფს ჰმართავს იმავე საფრანგეთთან და რესპუბლიკის მართებლობაც თითქო განწყობილია დაუახლოვდეს ჰუმბერტოს პირველის სამეფოს.

დიდ სახელმწიფოთა შორის რჩება ოსმალო და ინგლისი, ურომლებოდაც ევროპის რუკის შეცვლა შეუძლებელია. ოსმალოს შესახებ, გარდა იმისა, რომ საომარს მზადებაშია, გაზეთებიდამ არა ისმის-რა,—თუ რა გუნებაზედ ბრძანდება სტამბოლის მპყრობელი.

ხოლო ინგლისი, რომელსაც წინ უძღვის ახალი მთავარ-მინისტრი ლორდი როზბერი, ხმა-მაღლა აღიარებს, რომ დიდი ბრიტანია არაოდეს არ დათანხმდება თავისი უპირველესობა ზღვაზედ ვისმეს დაუთმოს და ამ განზრახვით მთავრობამ გადასწყვიტა კიდევ უფრო განაძლიეროს ინგლისის უიმისოდაც მრავალი და ჩინებული ფლოტიო.

როგორცა სჩანს, ახალ მთავარ-მინისტრს ერთსა და იმავე დროს გლადსტონის მემკვიდრეობის გაწევაც შეუძლიან და ბიკონსფილდისაც. ვრცელ და სამართლიან აზრს „დიდებულის მოხუცისას“, რომელსაც სიცოცხლის საგნად ჰქონდა ინგლისის ქვეშევრდომთათვის მიენიჭებინა თანასწორი უფლება საკუთარის ცხოვრების მოსაწყობად, ლორდი როზბერი დაურთავს პროგრამას ბიკონსფილდისას, რომელსაც თავის დროშაზედ ინგლისის გაძლიერება და დიდება ეწერია არა მარტო შინ, არამედ გარედაც.

ამასთან არის ნიშნები იმისა, რომ ინგლისის ახალი სამინისტრო საფრანგეთთან საკმაო კარგად განწყობილია. რას მოიტანს ყოველი ეს ახალი პოლიტიკური ცვლილება სახელმწიფოთა შორის, ამისი თქმა დღეს ძნელი გასაბედავია. საგულისხმო და თვალსაჩინო აქ მხოლოდ ისაა, რომ დღეს ის აღარ არის საპოლიტიკო მოედანზედ, რაც გუშინ იყო.

მეველე

## ახალი ამბავი

—

⁂ ტფილისის გუბერნატორმა თ. შერვაშიძემ შეიტანა პროექტი შინაგან საქმეთა სამინისტროში იმის შესახებ, რომ კავკასიის ხალხი უზრუნველ-ყოფილ იქმნას საზრდოთიო. ამ პროექტში ის აზრია გატარებული, რომ მთავრობის ზრუნვა ამ საქმეში უნდა მიქცეული იყოს არა მარტო იმად, რომ ხალხს დაზოგვილი ჰქონდეს შემოსავალი მოსავლად თუ ფულად, არამედ უნდა ვიზრუნოთ, რომ ამ დაზოგვილის დახარჯვას არ იყოს იძულებულიო. ამ აზრით პროექტში თ. შერვაშიძე ამჯობინებს, რომ გლეხთა მეურნეობა ძირეულად შეცვლილ იქმნას.

⁂ ფინანსთა სამინისტრომ ამ დღეებში დაამთავრა პროექტი ახალის დებულებისა საგერბო გარდასახადის შესახებ, რომელიც შემდგარია ეხლანდელ სახელმწიფო ქონებათა მინის-

# ფელეტონი

—

## სალიტერატურო კრიტიკის გამო.

ამ უკანასკნელ დროს ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში ხშირად ვხვდებით იმისთანა წერილებს, რომელშიაც ავტორები უმთავრეს აზრად ისახავენ ეხლანდელის ჩვენის ლიტერატურის ნაწარმოებთა დაფასებას და სწორე კრიტიკულის შეხედულების დადგენას თანამედროვე მწერლების შესახებ. ამ გვარი განზრახვა მეტად სასიამოვნო და სანატრელი უნდა იყოს ყველასათვის, რადგან ახსნა და შეგნება ცხოვრების ყოველის მოვლენისა და განსაკუთრებით კაცობრიობის აზრის ნაწარმოებისა შეადგენს ადამიანის სულის უპირველეს მოთხოვნილებას. ყოველი კაცი, ვისაც-კი ცოტად მაინც უმუშავნია თავის ტვინის განვითარებისათვის, სცდილობს შეიგნოს თანამედროვე მწერლობის ხასიათი და იქონიოს თავისი საკუთარი აზრი შესახებ მწერლობის წარმომადგენელთა. ამ შემთხვევაში გონიერი და რიგიანად დასაბუთებული კრიტიკა დიდს სამსახურს გაუწევს საზოგადოება. კრიტიკოსის მოვალეობა მით უფრო მძიმეა და პასუხის საგებელი, რომ, როგორც შემჩნეულია, საზოგადოება თითქმის ყოველთვის ხან ცხადად და ხან შეუმჩნევლად თავისათვისაც-კი ითვისებს იმ აზრებს, რომელსაც კრიტიკოსი აწოდებს მკითხველს. თვით მწერლებიც-კი მოვალენი არიან მიაქციონ სრული ყურადღება სალიტერატურო კრიტიკას, რომ მისის მიხედვით [1]) მოიხმარონ თავისი შემოქმედებითი ძალა და ცოდნა იმ კითხვების დასახატავად და გამოსარკვევად, რომელნიც შეადგენენ ჩვენის ცხოვრების უმთავრესს მოთხოვნილებას. უეჭველია, რომ სალიტერატურო კრიტიკას დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოდ იმისათვის ვინც-კი თავის თავზე იღებს ჩვენის მწერლობის ნაწარმოებთა დაფასებას, დიდის მორიდებით, და პატიოსნებით უნდა ეპყრობოდეს თავისს მოვალეობას და საბუთებზე უნდა ამყარებდეს თავის აზრებს.

ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში, რაც-კი იწერება ამ ბოლოს დროს კრიტიკულის ხასიათისა, იმის შესახებ ჩვენ უნდა ვსთქვათ, რომ ეს ნაწერები ვერ წარმოადგენს მტკიცედ დასაბუთებულ კრიტიკას და ჭეშმარიტს აზრს. ხოლო იმისთვის, რომ სალიტერატურო კრიტიკა მხოლოდ ჭეშმარიტებას ემსახურებოდეს და საფუძვლიანად არკვევდეს თითოეულს გონებითს ნაწარმოებს, განშორებულ იყოს მცირეოდენ ეჭვსაც, რომ შესაძლებელია კრიტიკოსმა პირადი სიყვარული ან სიძულილი შეიტანოს თავის კრიტიკაში, ამისათვის საჭიროა მრავალი ღირსებანი. ამასთან საჭიროა, რომ იგი იყოს დამყარებული იმ უმთავრეს კითხვების გამოკვლევაზედ, რომელიც შეადგენს თვით ამ კრიტიკის შინაარსს და დედა-აზრს. უამისოდ თვით სალიტერატურო კრიტიკა ემსგავსება ტყუილად დაკარგულს დროს და მისგან დადგენილი აზრი უნდა ჩაითვალოს უდაბნოში მღაღადებლის ხმად. ამისათვის ჩვენ გვსურს აღვნიშნოთ და გამოვარკვიოთ ის უმთავრესი საგნები, რომელიც შეადგენს სალიტერატურო კრიტიკის საფუძველს.

უმთავრესი საგნები, რომელზედაც ჩვენ გვინდა ვილაპარაკოთ, შეეხება იმას, თუ როგორი ადგილი უჭირავს ესტეტიურ გრძნობას საზოგადოდ ადამიანის სულიერ მოთხოვნილებათა შორის და რამდენად აკმაყოფილებს ამ გრძნობას სიტყვა-წყობილი ხელოვნება, ანუ პოეზია; მეორეს მხრივ იმას, თუ როგორი მნიშვნელობა ჰქონდა პოეზიას კაცობრიობის ისტორიულ მიმდინარეობაში და როგორ იცვლებოდა თანდათან კაცობრიობის აზრი ამ საგანზე საზოგადო მოთხოვნილებათა მიხედვით; მესამე საგანი შეეხება იმასა, თუ რა ნაირად უნდა გამოვიყენოთ ამ გვარ ისტორიულის გამოკვლევით შემუშავებული მოსაზრება სიტყვა-წყობილის ხელოვნების ყოველ გვარ ნაწარმოების დასაფასებლად.

უძველესს დროს, როდესაც ცოდნა და მეცნიერება აკვანში იწვა, ბუნების სხვა-და-სხვა მოვლენის გამოკვლევა და ნათლად ახსნა შეუძლებელი იყო ამის გამო. იმ ხანებში ადამიანის სულიერი მოთხოვნილება უფრო გრძნობასა და ინსტინქტზედ იყო დამყარებული. რაც რომ მძლავრი ან შემაშინებელი იყო ბუნებაში, ყოველს ასეთს საგანს ადამიანი კრძალვით უყურებდა და თაყვანსა სცემდა. ამასთანავე ყოველი სამშვენიერე ბუნებისა იზიდავდა კაცის ყურადღებას და რადგან ჯერ ადამიანის ტვინი განუვითარებელი იყო, ამისათვის სიმშვენიერესა და სილამაზეს იგი ჰპოებდა მხოლოდ ბუნების ხილულ საგნებში. ამას გვიმტკიცებს ის გარემოება, რომ პირველ დასაწყისში მხატვრობის შინაარსს შეადგენდა იმისთანა საგნები, რომელთაც ძლიერ ახლო დამოკიდებულება ჰქონდათ კაცთან: მაგალითად, ხის ფოთლები, მცენარეები, ცხოველები და სხვა. შემდეგში, როდესაც კაცობრიობა უფრო წინ წაიწია გონებით, ხელოვნების შინაარსად, გარდა ზემო დასახელებულის საგნებისა, შეიქნა ადამიანის გარეგანი სილამაზე და ტანის სხვა-და-სხვა ღირსება. ამ ნაირად დამყარდა ნივთიერი ხელოვნება.

შემდეგ, როდესაც კაცი თანდათან გამოდიოდა მხეცურ მდგომარეობიდგან და ადამიანის აზრი უფრო დ უფრო იწვრთნებოდა, დაარსდა ხმაწყობილი ხელოვნება, მუსიკა, და სიტყვა-წყობილი ქმნილებაც. ადამიანი თავისს გრძნობას წარმოსთქვამდა ან სიმღერით, ან საკრავით, მასთან ორივე შემთხვევაში დაცული უნდა ყოფილიყო ჰარმონია, ხმის წყობილებაზედ დამყარებული სიტკბოება. რადგან ადამიანი ამ ძველს დროში აღმერთებდა და თაყვანსა სცემდა ყოველს მძლავრ ბუნების მოვლენას, ამისათვის ხელოვნურად წარმოთქმული გრძნობა ადამიანისა უმთავრესად უნდა ყოფილიყო მიმართული ზის უხილავ მფარველის მიმართ, რომლის დახმარება და მფარველობა იყო უგულითადესი წადილი და იმედი ადამიანის არსებობისა. ამ გვარი დამოკიდებულება შეედარება ლოცვასა და ვედრებას, რომლითაც ადამიანი სცდილობს მოიმხროს ღვთაებრივი არსება თავის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ამ აზრითვე დაარსებულ იქმნა სხვა-და-სხვა ნაირი მსხვერპლის შეწირვა და სიტყვა-წყობილ წარმოთქმით ლაღადება მსხვერპლის გარშემო. ამ გვარ სიტყვა-წყობილ ლაღადებისაგან თანდათან წარმოსდგა დრამატიული პოეზია.

მეორეს მხრით, რადგან ვედრება ღვთის მიმართ წარმოადგენდა სიტყვა-წყობილ ნაწარმოებს და წარმოითქმოდა ქნარის აკომპანიმენტით, ამისათვის აქვე დაედო დასაწყისი სალირო პოეზიას, რომელიც შემდეგში განვითარდა და ბოლოს სრულიად დაჰკარგა საღმრთო ხასიათი. გარდა ამისა, კაცობრიობა თავის გონებაში ისახავდა სხვა-და-სხვა გმირებს, რომელთა ცხოვრების გამოხატვამ დაჰბადა ეპიკური, ანუ გმირული პოე-

[1]) ფრიად საფრთხილო რჩევაა, რადგანაც კრიტიკაც არის და კრიტიკაც!
რედ.

ტრის ერმოლოვის თავმჯდომარეობით არსებულ კომისიის აზრზედ. ზემოხსენებული პროექტი ამ ჟამად გაგზავნილია შინაგან საქმეთა, სასჯულო საქმეთა, სახელმწიფო ქონებათა, გზათა უწყების და სახელმწიფო კონტროლის სამინისტროებში, რათა იმათაც თავისი აზრი წარმოსთქვან, და წრევანდელსავე სესსიაში იქმნება წარდგენილი სახელმწიფო საბჭოს განსახილველად.. ახალი დებულე?ის აწ მომქმედისიგან სრულიად განსხვავდება განსაკუთრებით იმითი, რომ შეცვლილია ფასი: თამასუქის და აქტების ქაღალდისა, გერბის მარკები სხვა-და-სხვა ფასისაა შემოღებული და დაწესებულია, რომ იმ დეპეშებს, რომელიც მთავრობის დაწესებულებაში წარიგზავნება რისიმე სათხოვნელად და საშუამდგომლოდ, გერბის გარდასახადი დაედოს. აქტის ქაღალდის ფასი ახალის დებულებით იქმნება 40 კ. ყოველ 100 მანეთზედ, თამასუქის ქაღალდისა —10 კ. 100 მ. ფურცელისათვის, 100—200 მანეთიანისთვის—15 კ. შემდეგ-კი ყოველს 100 მანეთზედ თამასუქის ქაღალდის ფულსაც 15 კაპ. ემატება. რაც შეეხება მარკებს, ახალის პროექტით შემოღებულ იქმნება ორნაირი მარკ.—1 მ. 40 კ. ერთი ახალი წესი ეხლა შემოღებული, გაფუჭებულს აქტის ქაღალდს შეეხება. აქამდე ბევრნი ვერა ჰბედავდნენ პირობის დაწერას აქტის ქაღალდზედ, რადგან ასეთი ძვირფასი ქაღალდი ხშირად წახდებოდა ხოლმე და ზარალში შედიოდა პირობის დამწერი. ამის გამო ახალის წესით შესაძლებელია გაფუჭებულის ქაღალდის შეცვლა სუფთაზედ, მხოლოდ ორი შაური უნდა გადიხადონ მისმა წარმამადგენელმა ყოველს ფურცელზედ ამ ღალდის შემზადების ხარჯის დასაფარავად.

ამ წესის უარყოფის ასაცდენად დაწესებული იქნება რევიზია საქმეთა-წარმოებისა არამც თუ სახელმწიფო დაწესებულებაში, არამედ საზოგადო, საერობო, სამოქალაქო, სააქციონერო და სხვა დაწესებულებაშიაც. რევიზიის საქმეთა-წარმოება სახელმწიფო დაწესებულებაში, დავალებული ექნებათ ამ დაწესებულებათა უფროსთ, სხვა დაწესებულებაში-კი ხარჯთა გადასახადისა და ქარხანათა ინსპექტორებს და სხვა ადმინისტრაციის მოხელეთ. საგერბო წესების დარღვევისათვის სასჯელი უფრო სასტიკი იქნება, ვიდრე ეხლა. ამის გამო მიუხედავად იმისა, რომ საგერბო გადასახადი დაკლებულია, ფინანსთა სამინისტრო მოელის შემოსავლის მომატებას 1500,000 მან. წელიწადში.

*** 16 მარტს ტფილისში ერთი სამწუხარო ამბავი მოხდა: ელისაბედის ქუჩაზედ, ისარლოვის სახლებში აზოტის სიმჟავით თავი მოიწამლა სამხედრო ექიმის პუგინოვის მეუღლემ ოლგა რუდოლფის ასულმა. განსვენებულს ჩქარა შეუტყეს თავის მოწამლვის ამბავი, მაშინვე ეცადნენ კიდეც იმის გადარჩენას, მაგრამ ამაოდ; მეორე დღეს, 17 მარტს, იგი დიდის ტანჯვით გარდაიცვალა.

*** ახალციხე 13 მარტი. დადგა მარტი და აირია დარების საქმეც. აგერ ორი კვირაა რაც მზეს არ გაუცინია: ხან წვიმა მოდის და ხან თოვლ-ჭყაპი. ამის გამო ახალციხის ქუჩებში არ გაევლება კაცს წუმპოების გამო. როგორც, საიმედო წყაროდგან, გავიგეთ 20 ამ თვეს ქ. ახალციხეში სცენის მოყვარულები გაჰმართავენ ,,დრამატიულ საღამოს“ წარმოადგენენ სამ პიესას და იმღერებს დროებითი შემდგარი მოსიმღერეთა გუნდი (ხორო) -სხვადასხვა ქართულ სიმღერებს, აქაურებისათვის სრულიად ახლებს. ამბობენ, ძალიან მხიარული პიესები არისო. ღმერთმა ხელი მოუმართოთ. იმედია ახალციხის ქართველი საზოგადოება თანაგრძნობით მიეგებება ამ საღამოს მით, რომ ეს „დრამატიული საღამო“ დანიშნულია ახალციხის საქველ-მოქმედო საზოგადოების დედათა სკოლის სასარგებლოთ, და ამისთანა წარმოდგენა არის ერთად-ერთი არსებობითი სალსარი ამ დედათა-საყოველთაო სკოლისა.

ვისურვებთ, რომ საღამოს კარგათ ჩაევლოს.

*** გაზ. Русск. Вѣд.-ის სიტყვით, უმაღლესად ნაბრძანებია, რომ შემცირდეს სამხედრო სამკურნალო აკადემიის სტუდენტთა რიცხვი და 750—კაცზედ მეტი არ მიიღებოდესო. სტუდენტთა მიღების დროს, საგნების ერთნაირად მცოდნეთა შორის, უპირატესობა მიეცემა პეტერბურგის ოლქის გიმნაზიებში სწავლა დამთავრებულთ.

## კორესპონდენცია

**საჩინო** (ქუთაისის მაზრა). სიტყვა «საჩინო» ვგონებ იქედამ უნდა იყოს წარმომდგარი, რომ ეს ქვემო იმერეთის კუთხე, შესამჩნევი, „თვალ-საჩინო“ უნდა ყოფილიყო ოდესმე. „საჩინო“, ე. ი. საჩვენებელიო, სანახავად ღირსიო. დიდად არ შემცდარან ჩვენი ძველთა-ძველნი, რომ ამ კუთხისათვის „საჩინო“ დაურქმევიათ (საჩინო შესდგება ხუთი სასოფლო საზოგადოებისაგან: ტობანიერისა, ვანისა, დვალიშვილებისა, უხუთისა და გორასი). ეხლაც არ არის ეს კუთხე მოკლებული თავისს მნიშვნელობას! ოღონდაც კაცმა ხელი გასძრას, და ყოველივე ნაწარმოები უხვად დააჯილდოვებს მოსავლით. რა გინდა რომ აქ არ იყოს: საყანე-სავენახე, ულეველი ტყე და საბალახო მთებზედ, სამკურნალო წყლები, მდინარეები გემრიელის თევზით და სხვ... ბევრს იპოვნით მასალას არხეოლოგიისათვისაც!

მკითხველი იფიქრებს, რომ ამისთანა ბუნებით უხვს კუთხეში ალბად მკვიდრნი ნივთიერად კარგს მდგომარეობაში იქმნებიანო! საქმეც ისაა, რომ, სამწუხაროდ, აქაურები ვერ არიან სანატრელს მდგომარეობაში ნივთიერად. ბუნება რომ უხვად გაძლევდეს ყველაფერს, თუ არ შეგიძლიან ხელი გაუწოდო და ისარგებლო, ფუჭია ბუნების სიუხვე. თავი და თავი მიზეზი ამისი გახლავთ უვიცობა! სწავლა-განათლებაზედ როგორღაც დაშორებულნი ვართ და ეს ხომ ცხადია, სწავლა-განათლება უნაყოფო ნიადაგიდანაც ნაყოფს გამოიტანს, თორემ ნაყოფიერისაგან რაღა თქმა უნდა. თუმცა-და საჩინო ნივთიერად სხვა იმერეთის კუთხეს ბევრით არ ჩამორჩება უკან; მაგრამ იმის ბუნების ღირსებასთან შედარებით ბევრად უკანა სდგას! ამ უვიცობას ისიც ერთვის ზედ, რომ აქედამ ყოველისავე ნაწარმოების გატანა გასასყიდად ერთობ საძნელოა! მწარმოებელს გატანა თითქმის ნაწარმოების ფასად უჯდება! საჩინოს არა აქვს შემაერთებელი გზები არც ქუთაისთან და არც სხვა სავაჭრო ადგილებთან. რიონზედ არსად, საჩინოს დასამხარზედ, ხიდი არ არის და ამ მდინარის აცილება საჩინოს არ შეუძლიან. ხიდის ნაცვლად რამდენისამე ადგილას ნავებია (ბორანი) მდინარეზედ გასასვლელად, მაგრამ ხშირად უსარგებლო და საშიშია რადგან მდინარე ხშირად ჰმატულობს და კალაპოტს სცილდება, რომლის დროს ნავები უსარგებლონი არიან. ხშირად თითო თვეობით ჩაკეტილნი ვართ. შეიძლება საჩინოდამ ქუთაისში მისვლა, მაგრამ, რიონს რომ ასცდეს კაცი, 50—60 ვერსი უნდა მეტი მოიაროს სხვა მდინარეებს-კი ვერ ასცდება, მაგ. ყვირილას, რომელზედაც გასვლა, ავდრის დროს, ისეთივე საძნელოა, როგორც რიონზედ. საჩინოში ბევრი პატარა მდინარე ჩამოდის, რომლებზედაც არსად ხიდი არ არის და ფონად გასვლა მოუხერხებელია ავდრის დროსა.

რაც შეეხება საჩინოს გზებს, ვისურვებ, მკითხველო, რომ ღმერთმა არ შეგახვედროს ზამთრობით აქ მგზავრობა. დამნაშავესათვის დასასჯელად საკმაოა, რომ აქ გამოგზავნიდნენ ზამთრობით სამგზავროდ!

ამ გვარ სამწუხარო მდგომარეობას არავინ ყურადღებას არ აქცევს. ყველას ჰსურს, რომ კარგი გზები დ ხიდები გაიკეთოს, მაგრამ სურვილი სურვილად რჩება, რადგან გავლენიანი მოთავე არა ჰყავს და უმეთაუროდ, მოგეხსენებათ, არავითარი საზოგადო მცირე საქმეც-კი არ გაკეთდება. განა ძნელია მაზრის ადმინისტრაციისათვის, რომ ეს სამადლო საქმე ითავოს და ხალხსვე მისის შრომითა და ხარჯით გააკეთებინოს?! ამას გარდა, აქ იშვიათად შეხვდები ისეთს მემამულეს, რომ ადგილ-მამულის გამო დავა და საჩივარი არა ჰქონდეს ატეხილი სასამართლოში. ეს საჩივარი, მოგეხსენებათ, ორსავე მოდავეს იაფად არ უჯდება. ხშირად, საჩივრისთვის გაწეული ხარჯი მამულის ღირებულობას აღემატება. თან ისიც იქონიეთ სახეში, რომ „ეხლანდელი“ საჩივარი როდი სრულდება! ჯერ მომრიგებელ-მოსამართლესთან, რომელიც იმყოფება სოფ. ბაღდადში (საჩინოდგან 35 ვერსის მანძილზე), ორი-სამის წლის განმავლობაში არა თავდება და მერე სხვა სასამართლოებში გადააქვთ. ამ საჩივრების მიზეზი, რასაკვირველია, ის არის, რომ აქამდე

---

ზია. საბერძნეთის ძველ ისტორიაში ჩვენ ვხედავთ, რომ სიტყვა-წყობილი ხელოვნება მეტად განვითარდა და მიაღწია უმაღლეს წერტილამდე. ამასთანავე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ საბერძნეთის ისტორიის პირველ ხანებში ეპიკური პოეზია უფრო გავრცელებული იყო; შემდეგში-კი, როდესაც ცხოვრებამ თვალ-საჩინოდ იცვალა ფერი და კაცის აზრი უფრო აღფრთოვანდა, ეპიკურ პოეზიას უფრო და უფრო დაეკარგა მნიშვნელობა და აღორძინდა დრამატიული პოეზია. მეხუთე საუკუნე ქრისტეს დაბადებამდე, რომელიც შეადგენს უბრწყინვალესს ხანას საბერძნეთის ისტორიისას, მასთან ხელოვნების წარჩინებულ ჟამად უნდა ჩაითვალოს, მაგრამ ამის შემდეგ, როდესაც კაცის აზრმა მიიღო უფრო ფილოსოფიური ხასიათი, კაცობრიობა შეუდგა ბუნების გამოკვლევას, ქვეყნების მდგომარეობის გაგებას და ცხოვრების მიმდინარეობის საუკეთესოდ მოწყობას.

რაკი აზრის წარმოება ამ გვარ გზას დაადგა და საბერძნეთის მეცნიერნი ფილოსოფიურის სისტემის დაწესებას სცდილობდნენ, ამისათვის ხელოვნებას უნდა დაჰკარგოდა თავისი უმაღლესი მნიშვნელობა და მართლაც—უკანასკნელი საუკუნოები საბერძნეთის ისტორიისა ცხადად წარმოგვიდგენს საზოგადოდ ხელოვნებისა და განსაკუთრებით სიტყვა-წყობილ ნაწარმოების სრულს უსუსურობას. რომში ჩვენ ვერ ვხედავთ ხელოვნების განვითარებას იმ გვარადვე, როგორც საბერძნეთში, რადგან რომაელთა უმთავრესი მეცადინეობა მიუქცეული იყო იმაზედ, რომ თავისი სახელმწიფო ომის ნაამაგარით გაეძლიარებინათ და მახლობელი ქვეყნები დაეპყრათ.

მხოლოდ იმპერიის დაარსების დროს, როდესაც ომიანობა ცოტას ხნით შესწყდა და ხალხს საშუალება მიეცა დაეკმაყოფილებინა თავისი სულიერი მოთხოვნილება, რომში გამოჩდნენ იმისთან შესანიშნავი პოეტები, რომელნიც მსოფლიო მწერლობის ისტორიაში უკვდავნი იქმნებიან. როდესაც ძველი განათლებულ ხალხების პოლიტიკური არსებობა მოისპო და იმათ ადგილზე დამყარდნენ გერმანელი ბარბაროსები, კაცობრიობის აზრის განვითარება და სამეცნიერო გამოკვლევა ბუნების და ცხოვრებისა დროებით შეჩერდა. ამ უკანასკნელ გარემოებას ხელს უწყობდა ერთის მხრით ქრისტიანობის გავრცელება, რადგან ამ დროიდგან კაცის აზროვნობამ მიიღო სარწმუნოებრივი ხასიათი და ყოველ ნაირი ნაწარმოები გონებისა მიმართული იყო უზენაესის არსების დასამტკიცებლად და სხვა-დას-ხვა დოგმატიურ საგნების გამოსაკვლევად. მხოლოდ საშუალო საუკუნოების ბოლოს, „მეცნიერებისა და ხელოვნების აღდგენის“ დროს (XV საუკუნე) ჩვენ ვხედავთ საზოგადოდ ხელოვნების უმაღლესს განვითარებას, მაგრამ სიტყვა-წყობილი ქმნილება ამ დროიდგან მოკიდებული მე-XVIII საუკუნემდე წარმოგვიდგენს ძველის ხალხების შესანიშნავ ნაწარმოებთა მიბაძვას, ე. ი. ყალბ კლასიციზმს.

მე-XVIII საუკუნეში დამყარდა ახალი ლიტერატურული მიმართულება, რომლის პირველ წარმომადგენლებად ითვლებიან ინგლისში რიჩარდსონი და სტერნი, ხოლო საფრანგეთში—ჟან-ჟაკ რუსსო.

ჩვენ ვამბობთ სანტიმენტალურ მიმართულებაზედ, რომელიც აქცევდა უმთავრესს ყურადღებას კაცის გრძნობასა და მის გამოხატვას. ამავე საუკუნეში, ფილოსოფიის და მეცნიერების დიდ მოძრაობის გამო, კაცობრიობამ გამოირკვია ახალი აზრი ცხოვრების წეს-წყობილებისა და საზოგადო განვითარებისა, მაგრამ რადგან თვით ცხოვრების სინამდვილე ეწინააღმდეგებოდა ამ ახალ აზრს და ამისი განხორციელება შეუძლებლად ხდებოდა, ამისათვის XVIII საუკუნის დასასრულს დაიბადა ცხოვრების უარყოფა და კაცთა მიმართ სიძულვილი. ამ დროის გამოჩენილი კაცები, რომელთაც წრფელი მისწრაფებანი უმაღლებდნენ სულს, ვერ ეთანხმებოდნენ თანამედროვე საზოგადოების ცხოვრების წესსა და რიგს და ჰპოებდნენ სულიერ კმაყოფილებას იმისთანა საგნებში, რომელთაც არა ჰქონდათ პირდაპირი დამოკიდებულება ცხოვრებასთან. ამ გვარის მიმართულების წარმომადგენლად უნდა ჩაითვალოს ინგლისის გენიოსი—პოეტი ბაირონი. საზოგადო მისწრაფების საგნად შეიქმნა ესტეტიურ გრძნობის დაკმაყოფილების სურვილი და ამის გამო კვლავ გაძლიერდა ხელოვნება, რომლის უმაღლესი განვითარება შეადგენდა სულის უმთავრესს მოთხოვნილებას.

ხელოვნების ამ გვარად დამყარებაზედ ძალიან დიდი გავლენა იქონია გერმანიის დიდმა ფილოსოფოსმა ჰეგელმა. მან შექმნა ესტეტიკის მთელი ფილოსოფიური სისტემა, რომლითაც დააწესა, რომ ხელოვნებას ცხოვრების საზოგადო მოთხოვნილებათა მიუხედავად აქვს თავისი საკუთარი საგანი, რომლის განხორციელება და გამოხატვა შეადგენს მის განსაკუთრებულს მოვალეობას. ამ სახით, დაარსდა ახალი ლიტერატურული მიმართულება, რომელსაც მწერლობის საზოგადო ისტორიაში უწოდებენ რომანტიულ მიმართულებას. ამ მიმართულებას ეკუთვნიან გერმანიის უმთავრესი პოეტი: გეტე და შილლერი. რაც შეეხება რუსულს ლიტერატურს—ჟუკოვსკი, პუშკინი და ლერმონტოვი უნდა ჩაითვალნენ ეგრეთვე რომანტიულ მიმართულების მომხრეებად. რუსეთის საზოგადო ცხოვრების ავ-კარგიანობა მე-XIX საუკუნის პირველ მეოთხედში წარმოადგენდა მშვენიერ ნიადაგს ამ გვარ მიმართულების გასავრცელებლად. პოეზია უფრო ბუნების აღწერას და გარეგნულ სიმშვენიერის გამოხატვას ემსახურებოდა და ამაში ჰპოვებდა თავისს უმთავრეს დანიშნულებას. ცხოვრების სხვა-და-სხვა საგნის აღწერა და თანამედროვე მდგომარეობის განკარგების სურვილი ითვლებოდა ლიტერატურულ ნაწარმოების ღირსების დამამცირებლად, რადგან ეწინააღმდეგებოდა ხელოვნებას, დედა-აზრს. ყოველი ტენდენცია, ანუ ავტორისაგან წინ და წინ დასახული აზრი, ამდაბლებდა გონების ნაწარმოებს, რადგან ეგ აზრი დამამცირებელი იყო გარეგან სიმშვენიერის გამოსახატად. სიტყვა-წყობილ ხელოვნების ნაწარმოების ამ გვარად დამფასებელთ ეკუთვნოდა გამოჩენილი რუსეთის კრიტიკოსი—ბელინსკი.

მაგრამ ორმოციან წლებიდგან მოკიდებული კაცობრიობის აზრმა მეტად იცვალა ფერი. შესანიშნავის საფრანგეთის ფილოსოფოსის ოგიუსტ კონტის მეოხებით დამკვიდრდა პოლიტიკური მიმართულება ფილოსოფიისა და მეცნიერებისა, ბიოლოგია და ბუნების მეტყველების სხვა საგნები მეტად გაძლიერდა, წარსულის და აწინდელის ცხოვრების მოვლენათა გამოკვლევა და შესწავლა შეიქმნა მეცნიერების საგნად და თვით ცხოვრების მიმდინარეობამ წამოაყენა იმისთანა კითხვები, რომელთა განხორციელება შეადგენდა საუკეთესო მისწრაფების უმაღლეს საგანს. ამისათვის, როდესაც ცხოვრების ვითარების შესწავლამ და საზოგადო მდგომარეობის განკარგებამ

ჩვენის მამულის გამიჯვნას ვერ მოვესწარით. საჩივრების გამო ხალხში ინერგება: შური, მტრობა, უთანხმოება და სხვა ზნეობის დამამცირებელი თვისება!.. აი, ეს გარემოებაა მიზეზი რომ საჩინოს, ნივთიერად უკან-დაწეულს, ზნეობრივი და გონებრივი წარმატებაც არ ეტყობა. რიცხვით თითქმის რვა ათას მცხოვრებელს შორის ათიოდე ყმაწვილი თუ იზრდება, სამრევლო-საეკკლესიო და სამინისტრო სკოლებს გარდა, სხვა სასწავლებელში.

თან-ნარელი

**დაბა ლანჩხუთი.** „ივერიის“ მე-51 ნომერში უკვე გამოცხადებული იყო, რომ დაბა ლანჩხუთში ძლიერ ბევრნი არიან მსურველნი სალის ყაჭის თესლის მოპოვებისა, მაგრამ საიდგან და ან როგორ არ იციანო. ამის გამოსაძიებლად ჩამოვიდა აქ ტფილისის სააბრეშუმო სადგურის მოხელე ბ-ნი ტარატინოვი და ის ბერძენი, რომელმაც გაავრცელა ცუდი თესლი სოფლად, ვერ იპოვა სადგურზედ. მაგრამ მისივე მიცემული თესლი, სხვა ვაჭრებისათვის გასასყიდად-კი ბევრი ნახა, რომლებისგან ერთის ქარხანის თესლის მეტი ვერ სცნო სად თესლად. შემდეგ ამავე დაბის ორ-კლასიან შკოლის ზედამხედველს ბ-ნ კერესელიძეს სთხოვა, რომ ენახა ის ბერძენი და გაეგო მისგან, თუ რომელ ქარხნებიდგან იყო მის თესლები და ან რა პირობებზედ აწერინებს ხელს თესლის მსურველთ. როცა ზედამხედველმა ერთის თავისივე სკოლის მზრუნველის თანადასწრებით სთხოვა ბერძენს თესლის და პირობის ჩვენება, ბერძენი ამ თხოვნაზედ გასწყრა და მიუგო ზედამხედველს: ვის რა ნება აქვს, რომ განიხილოს ჩემი თესლი სალია თუ არა და ან გამოიკვლიოს ის პირობები რომელზედაც თესლის მყიდველს ხელს ვაწერინებ. ასეთის პასუხის მომსმენი ზედამხედველი, მეორე სიტყვის უთქმელად მოშორდა. თესლი რავდენად სალი და უვარგისია, თვითონ მოხელე ბ-ნი ტარატინოვი დაამტკიცებს, რადგან მან, ბერძნის გაცემული თესლი თვითონვე ნახა. რაც შეეხება ბერძნის პირობას, ჩვენ გავიგეთ რამდენიმე კაცისაგან, რომ ის ართმევს თესლის მსურველს (რომელიც ფულად არ ყიდულობს) შემდეგ პირობას: უკეთუ მისი მიცემული თესლი გამოდგა, იმ შემთხვევაში მეოთხედი ნაწილი აბრეშუმის მოსავლისა მას არგუნონ და დანარჩენი სამი ნაწილიც მის მეტს არავის მიჰყიდონ, და უკეთუ თესლმა არ ივარგა, ან მოხელემ რაიმე მიზეზით კარგი მოსავლის ანგარიში ვერ აჩვენა, ოთხი მანეთი უნდა მისცენ თესლის ფასად, როცა ისე 78 მისხალს სამ მანეთად ჰყიდის.

კარგი იქნება, რომ სამეურნეო საზოგადოებამ ანუ ტფილისის საბრეშუმო სადგურმა ყურადღება მიაქციონ ამ საქმეს.

დავ. მ—ძე იმნაიშვილი

## ბატონს ჟორდანიას

(პასუხად)

ამაოდ უდგებით, ბ-ნო ჟორდანია, ქირისუფლად განსვენებულს ისტორიკოსს ბაქრაძეს. რომელი სულელი იქნება, ბაქრაძეს დასწამოს „მითვისება სხვის საკუთრებისა“. ყველამ იცის, რა უანგარო მოღვაწე იყო ბაქრაძე და რა მოკრძალებით—და არა ყოყოჩურად, როგორც ზოგიერთებმა ახლა იციან—სწერდა იგი. მაგალითი წინა გვაქვს: „იზვესტია კავკაზკოგო ობშჩესტვა ისტორიი“ (გვ. 12) ბაქრაძე თვითონვე სწერს, რომ „მესხური დავითნი“ ვიპოვნე პ. ი. იოსელიანის ხელ-ნაწერებშიო. ეს მესხური დავითნი მას გადუცია წერა-კითხვის ბიბლიოთეკაში. ბაქრაძეს ჰქონია სხვა ხელ-ნაწერებიც პლატონისა და ეს მას დაფარული-კი არა ჰქონია, არამედ, როგორც ამტკიცებს ვ. ყიფიანის წერილიც, ყველასათვის აშკარა ყოფილა. და სჩანს სიკვდილს დაუსწრია მისთვის, თორემ, უეჭველია, ყველა წიგნებს პლატონისას ბაქრაძე გადასცემდა ან სათავად-აზნაურო სკოლას და ან წერა-კითხვის ბიბლიოთეკას, სწორედ იმ სახითვე, როგორც გადასცა მესხური დავითნი.

ჩვენთვის ფრიად საჭიროა ვიცოდეთ ზოგიერთი წვლილი შესახებ დაკარგულ კრებულისა და გთხოვთ, ბ. ჟორდანია, შეგვატყობინოთ:

ა) ის კრებული, რომელიც ბაქრაძეს და მის ოჯახობას თავის საკუთრებად მიაჩნდა და როგორც ეს დაჭეშმარიტებით თქვენ გგონიათ, ვის ჰქონდა აქამდისინ? სად არის ახლა?

ბ) ეს კრებული თქვენს გარდა არავის არა ჰქონია ხელში თვით ბაქრაძეს სიცოცხლეშივე, მაგ. მთვარელიშვილს, თაყაიშვილს, და სხ.?

გ) რამდენად მართალია ის ხმა, რომელმაც ჩვენამდისინ მოაღწია, რომ ბბ. მთვარელიშვილს და თაყაიშვილს თქვენთვის არა ერთხელ უმტკიცებიათ, რომ ხსენებული კრებული პლატონისაა? და თუ ეს ხმა მართალია, რატომ თქვენს ხრონიკებში არც ერთგან არ იხსენიებთ ამ გარემოებას და ყრუდ მაინც არ აღნიშნავთ, რომ „ამა და ამ კრებულის შესახებ ამბობენ პლატონისააო“. მე ვეჭობ, ბ. ჟორდანია, რომ თქვენ-მიერ ქრონიკებში აღნიშნული ლურჯ ქაღალდზე დაწერილი დიდი კრებული, რომელსაც თქვენ ამსგავსებთ ამბროსი ნეკრესელის ხელს (ქრონიკები გვ. 1), რომელსაც თქვენ ეძახით „ჩემ საისტორიო კრებულად“ (გვ. 81) და რომელშიაც ვიღასაც (?) სადგანაც (?) ჩაუწერია წარწერა შესახებ ევთიმისა (გვ. 163), ვეჭობ მეთქი, რომ იგი სწორეთ ერთი რომელიმე კრებულთაგანი არ იყოს პლატონისა.

ყოველგვარ მითქმა-მოთქმის მოსასპობლად თავმდაბლად გთხოვ, ბ. ჟორდანია, დროებით წარმოადგინო წერა-კითხვის კანცელარიაში: ა) თქვენმიერ დაჭეშმარიტებით ცნობილი კრებული, რომელსაც, ვითომ, ბაქრაძე თავისად სთვლიდა და ბ) ის კრებული, რომელსაც თქვენ საკუთარ საისტორიო მასალების კრებულად სთვლით „ქრონიკების“ გვ. 1, 81, 163 და სხვა ადგილებშიაც.

და ამასთანავე უმორჩილესად ვთხოვ ბბ. მთვარელიშვილს, თაყაიშვილს, და სხვათაც, რომელთაც პლატონის დაკარგული კრებული ხელში ჰქონიათ, მოიწვიონ სხვა სანდო კაცებიც *), რომლებსაც ჟორდანია დაასახელებს, და გულდადებით განიხილონ და შეადარონ ხელი ზემორე ხსენებულ ხელნაწერებისა პლატონის ხელთან, აგრეთვე ენა ნაწერებისა, სხვა-და-სხვა შენიშვნები და წარწერები და სხვა-და-სხვა. თუ ვინიცობაა ანუ მსგავსება ანუ არა, მსგავსება აღმოჩნდა, იმ შემთხვევაში მოწიწებით ვსთხოვ ჟორდანიას მიიღოს შრომა და დაწვრილებით აუწყოს ხსენებულ პირთ: როგორ, როდის, ვისგან, რა ფასად მიიღო ანუ შეიძინა მან კრებულები—ერთი, რომელიც დაჭეშმარიტებით ბაქრაძის საკუთრება ყოფილა და მეორე, რომელიც, როგორც ვსთქვით, მოხსენებულია ქრონიკების 1, 81 და 163 გვერდზე მის საკუთრებად; ხოლო ზემორე დასახელებულ პატივცემულ პირთაც ვსთხოვ ყოველივე, რასაც აღმოაჩენენ, აუწყონ საზოგადოებას გაზეთით.

უ. ყარანგოზოვი.

*) ჩვენის მხრით აგრეთვე ვასახელებთ კარიჭაშვილს, ჭიჭინაძეს, პლატონის ძმისწულს ეგნატე იოსელიანს.

# უცხოეთი

**ავსტრი-უნგრეთი.** 11 მარტს შუადღისას პარლამენტში შეიკრიბნენ განსვენებულ კოშუტის პატივსაცემლად. დეპუტატები სამგლოვიარო ტანისამოსით იყვნენ. პრეზიდენტმა წინადადება მისცა: კოშუტის სახელი საუკუნოდ ხსენებული იქმნას პარლამენტის ოქმში, მისი კუბო შევამკოთ გვირგვინით და ვიდრე სამგლოვიარო დრო გაივლიდეს, ნულარ შევიყრებით ოფიციალურ დარბაზშიაო. დამოუკიდებელთა დასის პრეზიდენტმა სთქვა: კოშუტი შევრიცხოთ იმ უნგრეთის შვილთა შორის, რომელთაც სამშობლოსთვის თავი შესწირეს, შევაყენოთ წარმოდგენები კოშუტის გვამის დაკრძალვამდე და კანონში აღვრიცხოთ ყველა მისი ღირსებანიო. საერო დასის მეთაურმა შენიშნა, რომ წინადადება პრეზიდენტისა არა კმარაო. მინისტრ-პრეზიდენტმა ვეკერლემ განაცხადა, რომ მთავრობა უერთდება სამგლოვიარო მანიფესტაციას კოშუტის სახელის მოსახსენებლად და უცხადებს თავის პატივისცემას წარჩინებულ მიცვალებულს.

**საფრანგეთი.** „Figaro“ იუწყება საუბარს ერთის წარჩინებული კაცისას, რომელსაც მინდობილი ჰქონდა, მიჰგებებოდა ავსტრიის იმპერატორს, როდესაც იგი საფრანგეთში მიბძანდა. ამ წარჩინებულმა კაცმა სთქვა, თურმე, რომ იმპერატორს ჰნებავდა გამოეცხადებინა თავისი თანაგრძნობა საფრანგეთისათვის და დაემტკიცებინა, რომ მრწამს ახლო მომავალში მშვიდობიანობის დაურღვეველობაო. იმპერატორი დიდად კმაყოფილი დარჩა საფრანგეთში ყოფ-

---

დაიკავა უმთავრესი ალაგი კაცობრიობის აზროვნობის მსვლელობაში, ხელოვნებამაც დაჰკარგა თავისი განსაკუთრებული საგანი და გაიხადა საგნად თანამედროვე მდგომარეობის გაუმჯობესობა. ამ სახით დამყარდა რეალური მიმართულება მწერლობისა, რომელიც არსებობს დღემდე.

პირველი დასკვნა, რომელიც ჩვენ უნდა გამოვიყვანოთ ამ მოკლე ისტორიულ მიმოხილვისაგან, იმაში მდგომარეობს, რომ კაცობრიობის დ აზროვნობის პირველს ნაწარმოებს შეადგენს ხელოვნური ქმნილება და რამდენადაც კაცის აზრი მაგრდება და ძლიერდება, იმდენად ხელოვნება სუსტდება და ჰკარგავს თავისს მნიშვნელობას. მეორე დასკვნა შეეხება იმასა რომ, თუ საზოგადოების აზრი განუვითარებულია, იმ შემთხვევაში სულის მოთხოვნილება ადამიანისა დამყარებულია ესტეტიურ გრძნობაზედ და იმათი დაკმაყოფილება შეადგენს უმთავრესს მისწრაფებას. მესამე დასკვნა იმას გვიმტკიცებს, რომ ხელოვნების საგანი და მისი მნიშვნელობა საზოგადო წარმატებისათვის თანდათან იცვლება და სხვაფერდება ცხოვრების მიმდინარეობის მოთხოვნილებათა მიხედვით.

ეხლა ჩვენ უნდა გავარჩიოთ ის აზრი, რომელიც, რასაკვირველია, დამყარებული უნდა იყოს ზემო მოყვანილ ისტორიულად დაფუძნებულ მოსაზრებაზედ და რომელიც შეადგენს სალიტერატურო კრიტიკის უმთავრეს დედა-ბოძს. ეს კითხვა შეეხება იმასა, თუ როგორ უნდა დაფასდეს ყოველ ნაირი ლიტერატურული ნაწარმოები, რა უნდა ჩაითვალოს მის ღირსებად და რაში უნდა მდგომარეობდეს მისი ნაკლულევანება. მაგრამ ჯერ-ჯერობით, სანამდის პასუხს მივცემდეთ ამ კითხვაზედ, ჩვენ უნდა მოვილაპარაკოთ იმ საგნების შესახებ, რომელთაც აქვთ მახლობელი დამოკიდებულება ამასთან. აქ უნდა აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ ჩვენს დროში უფრო დიდი ყურადღება არის მიქცეული იმ კითხვებზედ, რომელთა განხორციელება დამყარებული უნდა იყოს ცხოვრების უმთავრესს მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაზედ. ამის გამო ესტეტიურის გრძნობის დაკმაყოფილებას უნდა ეჭიროს უფრო მდაბალი ადგილი. ჩვენ არ გვინდა ამითი ვსთქვათ, რომ კაცი მოკლებული იყოს ესტეტიურს გრძნობას. პირ-იქით, ჩვენ სრულიად დარწმუნებულნი ვართ, რომ ესტეტიურს მხარეს ადამიანის სულიერ მოთხოვნილებათა შორის პატივსაცემი ალაგი უნდა ეჭიროს, მაგრამ საქმე ის არის, რომ ამ მხარეს საზოგადო წარმატებისათვის უფრო მდაბალის ხარისხის მნიშვნელობა აქვს, ვიდრე კაცის სულის სხვა მხარეებს, ამასთანავე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ხელოვნებითი ნიჭი და შემოქმედობითი ძალა შეადგენს იმ გვარ თვისებას, რომელსაც ზოგიერთ შემთხვევაში არა აქვს დამოკიდებულება კაცის სხვა ღირსებასთან.

გარეგანი სიმშვენიერე შეადგენს ესტეტიურ დაფასების პირველს და აუცილებელს პირობას. ამისათვის შესაძლებელია, რომ ხელოვნურად სიმშვენიერის გამოხატვის ნიჭით უხვად დაჯილდოვებული იყოს იმისთანა კაცი, რომელიც ძლიერ დაბლა სდგას გონების განვითარების მხრივ. მსოფლიო ისტორიაში ბევრია იმისთანა მაგალითი, რომელიც ცხადად გვიმტკიცებს, რომ სხვა-და-სხვა გვარ ხელოვნების შესანიშნავნი წარმომადგენელნი, რომელთა ნაწარმოებნი ბრწყინავენ სიმშვენიერის საოცარ გამოხატვით, იჩენდნენ ცხოვრებაში ხასიათის სისუსტეს, სულის სიმდაბლეს და ხშირად უზნეო საქციელსაც. მიზეზი, რომელიც იწვევს კაცში ამ განსაკუთრებულს თვისებას, შეადგენს ჯერ-ჯერობით გადაუწყვეტელ პსიხოლოგიურ გამოცანას. გარდა ამისა, როგორც კერძო კაცში ხელოვნური ნიჭი არ არის დამამტკიცებელი გონების დ ზნეობის სიმაღლისა, აგრეთვე საზოგადოდ ხალხის ცხოვრებაშიაც ესტეტიკის აღყვავება სრულიად არ ეთანხმება ცხოვრების სხვა მხარეების აღორძინებას. ისტორიაში, გარდა ძველის საბერძნეთისა, თითქმის ყველა ბრწყინვალე ხანანი ხელოვნებისა მომასწავებელი არის კაცობრიობის გონების დაქვეითებისა და ზნეობის დაცემისა.

უმთავრესი და შეუმჩნეველი მნიშვნელობა და ზედ-მოქმედება ხელოვნებისა იმაში მდგომარეობს, რომ ყოველი ხელოვნური ქმნილება შეიცავს ცხოვრების სხვა-და-სხვა მხარეს და აფუძნებს მათ იმისთანა ნიადაგზედ, რომელიც ყველასათვის უფრო ადვილად გასაგებია. ყოველი მეცნიერულად გამორკვეული ჭეშმარიტება მაშინ უფრო ვრცელდება და ძლიერად მოქმედობს, როდესაც ხელოვნურის ქმნილების საგანს შეადგენს; მაგრამ ამ გვარადვე შესაძლებელია, რომ ხელოვნური ნაწარმოები იყოს გამომხატველი რეაქციულის მიმართულებისა და უზნეობისა. მაშასადამე, უმთავრესი ყურადღება უნდა იყოს მიქცეული ხელოვნურის ქმნილების შინაარსზედ და რადგან თვით ხელოვნება არის გარეგნობის გამომხატველი, ამისათვის იგი უნდა შეადგენდეს მშვენიერ საშუალებას და არა საგანს კაცობრიობის სულის განვითარებისას.

სიტყვა-წყობილ ხელოვნების ყოველ გვარი ნაწარმოები უნდა დაფასდეს ორის მხრით: შესახებ გარეგანის სიმშვენიერის გამოხატვისა და თვით შინაარსის ანუ დედა-აზრის გამოთქმითა. რამდენადაც ეს ორი მხარე უფრო ეთანხმება ერთი მეორეს, იმდენად ხელოვნური ქმნილება უფრო მაღალის ღირსებისაა, რადგან თვით ხელოვნება შეადგენს მხოლოდ მშვენიერს საშუალებას ყოველის კეთილის და სასარგებლო აზრის გამოსათქმელად. ამისათვის ხელოვნურად გამოთქმული აზრი მაშინ უფრო დიდს გავლენას ჰფენს საზოგადოებაზედ, როდესაც გარეგანის სიმშვენიერის გამოხატვა უფრო მეტად აკმაყოფილებს კაცის ესტეტიურ გრძნობას და ჰხიბლავს მის ყურადღებას. ყოველი შესანიშნავი აზრი, ხელოვნურად გამოთქმული, საზოგადოდ გასაგებად ხდება. ამ შემთხვევაში სიტყვა წყობილ ხელოვნებას ეძლევა კიდევ მეტი უპირატესობა იმ მოსაზრებით, რომ ცხოვრების რომელისამე მოვლენის გაგებას პროზის ანუ მეცნიერულ გამოკვლევის საშუალებით მეტი დრო და შრომა მოუნდება, მაშინ - როდესაც ესევე მოვლენა, ესევე აზრი, ხელოვნურად წარმოთქმული უმრავლესობისათვის უფრო ადვილად საგრძნობელია.

ამ გვარად ჩვენ ვხედავთ, რომ ხელოვნება, როგორც საუკეთესო საშუალება აზრების გამოსათქმელად, მეტად საჭიროა კაცობრიობისათვის. მაგრამ იმისთვის, რომ ხელოვნურმა ნაწარმოებმა მიიღოს ისტორიული მნიშვნელობა საზოგადო წარმატებაში, აუცილებელია, რომ მის შინაარსს შეადგენდეს თანამედროვე ცხოვრების საუკეთესო მისწრაფებანი და მოწინავე აზრები. ამისთვის საჭიროა, რომ ცხოვრების ყოველი მოვლენა იყოს საკმაოდ ახსნილი და ნამდვილად გაგებული. ქვეყანაზედ ერთს და იმავე დროს ჰმოქმედებს კეთილიც და ბოროტიც. ცხოვრების რთულ მიმდინარეობას მრავალი სხვა-

ნისა გამო და წასვლის დროს განაცხადა, რომ იმედი მაქვს, მერმისსაც ვნახავ საფრანგეთსაო.

## პასუხად ბატონ ქ. ნ—ძეს

„ივერიის“ 47, №-ში დაბეჭდილია საჩხერიდან კორესპონდენცია, ბატონი ქ. ნ—ძისაგან. ეს კორესპონდენცია, შეეხება ვითომ ჩემ მიერ გამოგონილ „ახალ სწავლის წესს.“ სანამ კორესპონდენტისაგან გაკვეთილზედ დასწრების ამბავს შევეხებოდეთ საჭიროა თვით კორესპონდენციის საზოგადო ხასიათს დააკვირდეს კაცი, რომ მიხვდეს თუ როგორი განზრახვით ყოფილა აღჭურვილი ბ. ნ—ძე. იგი სწერს: „დიდი მოწიწებით, რასაკვირველია, ვკითხე პატივცემულ მოძღვარს, საღმრთო სჯულის მასწავლებელს, რა მიზეზი უნდა იყოს რომ ასე უჭირსთ ბავშვებს პასუხი“ ამაზედ მე ვითომც სხვათა შორის მითქვამს: „მე სულ სხვა სწავლების წესზედ ვდგივარ... ეს წესი სწავლებისა ძალიან მოსახდენი გამოდგა.. მიხარიან, რომ ერთი კითხვა მეც შევიმუშავე მეცნიერებისათვის... ახალი შამოსული რომ იყვენ ბავშვები მე მაინც იმას ვასწავლი, რასაც დიდ განყოფილებაში სწავლობენ. რევიზორები მიწონებენ ასეთ სწავლის წესს და სხვა.“ აბა დავხედოთ შეიძლება ამისთანა თავის მართლება დამეწყოს მე? შეიძლება ამითი კაცმა იამაყოს? შეიძლება ამისთანა წესი სწავლებისა იქმნეს ნახმარები სადმე ორკლასიან სასწავლებელში და ან სხვაგან, სადაც ცოტაოდენი ყურადღება მაინც აქვს მიქცეული მთავრობას?

მესამე წელი მიმდინარეობს მას აქეთ რაც საჩხერის ორ-კლასიანი სკოლა გაიხსნა და მე პირველ წელშივე ვარ გამწესებული საღმრთო სჯულის მასწავლებლად. პირველ წელში მოახდინა რევიზია ჯერ ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველმა და წევრმა ქუთაისის ეპარქიის სამოსწავლებლო საბჭოსამ ბ. იაროსლავმა და დაგვესწრო კიდეც ყველა მასწავლებლებს გაკვეთილების მიცემის დროს. მეორედ ამავე წელში მობრძანდა მისი ყოვლად უსამღვდელოესობა იმერეთის ეპისკოპოზი გაბრიელი და გამოსცადა ყველა მოწაფეები. მეორე წელში მოახდინა რევიზია და გამოცდაც მოსწავლეებისა თავმჯდომარემ ქუთაისის ეპარქიის სამასწავლებლო საბჭოსამ დეკანოზმა მამა ცაგარელმა და თუ მე არ ვიცი სწავლების წესი, განა ამათ მაინც არ შეეძლოთ შეენიშნათ ჩემი ნაკლულევანება? მგონი, ჯერ-ჯერობით ესეც კმარა მის დასანახავად, თუ როგორ მართლის მოამბე კაცთან გვაქვს საქმე, მაგრამ ორიოდე სიტყვა მაინც უნდა ვსთქვა იმაზედ თუ გაკვეთილის დროს, რომელზედაც ვითომ დაესწრო ბ. ნ—ძე რა ზომამდე სიცრუით არის შემკული ეს ამბავი. სიცრუის გამოაშკარება უფრო დაგვისურათებს ბ. ნ—ძეს და სავსებით მოგვცემს ხელში ტიპს იმ მწერალთა გუნდისას, რომელნიც საზოგადო გულ-შემატკივრობის ნიღაბით ილანძღებიან და თავის წვრილმან ეგო იზმის დაკმაყოფილების მეტს არას დაეძებენ.

ამ წელში გაკვეთილის მიცემის დროს მე სკოლაში არავინ არ დამსწრებია და არც არავისთან მქონია ბაასი სკოლის კურსის შესახებ და საიდან მოიგონა ბ. ნ—ძემ ამისთანა ტყუილი ძრიელ მიკვირს! ის აზრიც, ვითომ მე სუყველა განყოფილების ბავშვებს ერთად ვასწავლიდე, სრულებით სიცრუეა. *).

საჩხერის ორ-კლასიანი სამრევლო სკოლის მასწავლებელი მღვდელი აბესალომ ტყემალაძე

---

და-სხვა მხარე აქვს. სიტყვა წყობილ ხელოვნების საგნათ შეიძლება იქნას კეთილი მოვლენაც და ბოროტიცა. უფრო მაღალის ღირსებისად უნდა ჩაითვალოს ის ავტორი, რომელიც თავის ნაწარმოებში ხელოვნურის გამოთქმით დაგვანახვებს, რა არის კარგი და რა გლახა მისგან გამოხატულ მდგომარეობაში,—რომელიც მიიზიდავს ჩვენს ყურადღებას კეთილ საგნისაკენ და აღამაღლებს ჩვენს სულს თავის ნაწარმოების ზედმოქმედებით. ამ ნაირად ხელოვნურ ქმნილებას ეძლევა უფრო დიდი მნიშვნელობა როგორც თანამედროვე ცხოვრებისათვის, აგრეთვე მერმისისათვისაც, მაშინ-როდესაც მის დედააზრს შეადგენს წარმატებისაკენ მიმართული ცხოვრების მიმდინარეობა ანუ მეცნიერად გამორკვეულ ჭეშმარიტებაზედ დამყარებული განზრახვა და მოღვაწეობა. ამასთანავე, რაც ზემოთ ვთქვით, კიდევ უნდა განვიმეოროთ, რომ ხელოვნური ქმნილება შეუძლებელია გარეგნულ სიმშვენიერის დაუცველად, რადგან ეგ უკანასკნელი აკმაყოფილებს ესტეტიურ გრძნობებს, რომელიც აკეთილშობილებს კაცის გულს და იწვევს ყოველს კეთილსა და წრფელს მისწრაფებას. მაგრამ თვით გარეგნული სიმშვენიერე ანუ ლამაზი ფორმა უნდა იყოს ისე შეთანხმებული დედა-აზრთან, რომ ხელოვნურმა ქმნილებამ მოახდინოს მკითხველზედ სრული შთაბეჭდილება. ამ გვარად სიტყვა-წყობილ ხელოვნების ნაწარმოები, ანუ, საზოგადოდ რომ ვსთქვათ, ბელლეტრისტიკა, როგორც უმშვენიერესი გამომხატველი თანამედროვე მდგომარეობისა, შეადგენს საისტორიო კრიტიკის საუკეთესო მასალას, რომელზედაც სხვათა შორის უნდა იყოს დამყარებული წარსულ ცხოვრების შესწავლა და ისტორიულ კანონების გამორკვევა.

აქ ჩვენ უნდა შევაჩეროთ ეხლანდელი ჩვენი ბაასი. შესაძლოა, რომ ჩვენი მსჯელობა არ იყოს საკმაოდ დასაბუთებული, მაგრამ ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ თვით უმთავრესი კითხვები სალიტერატურო კრიტიკისა სწორედ არის აქ აღნიშნული. ამასთანავე სასურველია, რომ ყოველ გვარი კრიტიკა დამყარებული იყოს ამ კითხვებზედ, რადგან უამისოდ მწერლობის ნაწარმოების დაფასება ყოვლად შეუძლებელია. შემდეგში ჩვენ გვაქვს განზრახვა მოვილაპარაკოთ დანარჩენ კითხვებზედ, რომელიც შეეხება სალიტერატურო კრიტიკას, და მერე, ამ საზოგადო აზრების შემდეგ ჩვენ ვეცდებით გამოვარკვიოთ ისიც, თუ როგორი მიმართულება აქვს ქართულს მწერლობას და რამდენად დაფუძნებულია ეს მიმართულება ჩვენის ცხოვრების უპირველეს მოთხოვნილებაზედ.

ს—ძე

ქ. ქუთაისი.

---

## წერილები რედაქციის მიმართ

### I

დიდი ხანი არის, რაც მთელს საქართველოში იყო აღძრული ლაპარაკი შესახებ იმისა, რომ შესაძლო იყო თუ არა გარდაღება ქართულის საეკკლესიო გალობისა ნოტებზედ, რომელ*ედაც მეც იჭვნეული ვიყავ. ეხლა, მადლობა ღმერთს, ამ მოკლეს ხანში, ამ გვარს იჭვნეულობას და ლაპარაკს მოეღო ბოლო და მაგვა დასასრული, მით რომ ეს მეხუთე თვე არის, რაც პატივცემული ფილიმონ ქორიძე ყოველ დღე დაუღალავად მუშაობს და შრომობს ამ საქმეზედ ქ. ოზურგეთში, ერთად ჩემისა და ჩემის შვილის მღვდლის დავითისა და ერთის ჩემას შეგირდის მოლარიშვილის დახმარებით.

მე, როგორც გამოცდილს და მცოდნეს სრულის საეკკლესიო ქართულის გალობისა, ის მაქვს სასიამოვნოდ, რომ ყოველი ეკკლესიური გალობა გადადის ნოტებზედ, ისე შეუცვლელად და უნაკლულოდ იმ კილოზედ, როგორადაც არსებობდა და არსებობს გურია-იმერეთში.

ამას გარდა კიდევ გამოგვიჩნდა ერთი ყოვლად პატიოსანი მამულიშვილი და გულ-შემატკივარი ამ კარგის საქმისა, რომელიც გულ-მოდგინედ შეუდგა განხორციელებას ამ მვირფასის საუნჯისას. მან არ მიხედა არც შრომას, არც ნივთიერ ხარჯსა და სარჯელს და საუკუნოდ ავალებს საზოგადოებას. ეს კაცი არის ისევ ერთი გურულთაგანი მ. შარაძე და მას ეხმარებიან მისი ამხანაგნიც.

მგალობელი ანტონ ნიკოლოზის ძე

დუმბაძე

### II

გთხოვთ თქვენი პატივცემული გაზეთის „ივერიის“ მახლობელ ნომერში მისცეთ ადგილი დ. ახალსენაკის წიგნთსაცავის შესავალ-გასავლის ანგარიშს.

დ. ახალსენაკის წიგნთ-საცავს და სამკითხველოს შემოსვლია თავის არსებობის დროს 1891 წ. როგორც სხანს, შემოსავალ-გასავალ ზონარ შეკერულ წიგნიდგან, 105 მან., დახარჯულა ეს ფულები: სტოლში და შკაფში 28 მ., სტოლის გადასაფარებელი მწვანე მაუდი 9 მ., ნახევარი დუჟინი სკამები 17 მ., ხელმწიფის სურათი, ჩვენის მწერლების სურათები და მათი ჩარჩოების გასწყობა 12 მ., ლამპარი 7 მ., სამკითხველოს ხის იატაკის დასაგებად 7 მ., ჟურნალ-გაზეთების გამოსაწერად 21 მ. 50 კ., ფოსტის ხარჯი, მარკების ფასი ნებართვის ასაღებად და წვრილი ხარჯი 8 მ. 50 კ., სახლის ქირად კ. თავართქილაძეს 20 მ., სულ გასავალი 130 მ. გასავალი აღემატება შემოსავალს 25 მანეთით. წარსულ წელში სამკითხველოს მოსდიოდა უფასოდ: „ივერია“, „Новое Обозрѣніе“, „Недѣля“, Сынъ Отечества“. შემოწირულ ფასად: „Новое Время“ 10 მ., „Русская Мысль“ 6 მ., „Стрекоза“ 4 მ., „Сѣверный Вѣстникъ“ 1 მ. 50 კ., „Нива“-ს ფუზანიდა ბაბილინა კ. ბებურიშვილისა, „კვალს“ ბესარიონ მიქაძე.

ყოველივე შემოწირულება ფულით იყო, თუ წიგნებით და მადლობა მათი შემოწირულობისათვის თავთავის დროზედ იყო გამოცხადებული „ივერიის“ 1891, 92, 93, წლებში. თუმცა-და ბევრს აქვს შემოწირულობაზედ ხელი მოწერილი, მაგრამ ფული არ შემოუტანიათ.

წევრნი დამაარსებელნი წიგნთ-საცავისა და სამკითხველოსი:
ბაბილინა ვახტან. ასული ბებურიშვილისა
კნეინა ოლინკა მხეიძისა დადიანის ასული
თ-დი ნიკო მანუჩარის ძე ჩიჩუა
თ-დი ნესტორ ივანეს ძე მხეიძე
ბესარიონ მიხეილის ძე მიქაძე

*) იმედი გვაქვს ავტორი ხსენებულის ამბისა თითონ მიხვდება, თავისი ვინაობა შეატყობინოს მღვდელს ტყემალაძეს, რადგანაც ბრალის დადება საფრიდან არ არის საქები საქციელა.

რედ.

---

# დეპეშა

17 მარტი

**რომი.** გუშინ ტურინიდგან საგანგებო მატარებლით წაასვენეს გვამი კოშუტისა და მისის ცოლშვილისა. მიცვალებულთა გვამთ მისდევდნენ ნათესავები, დეპუტატნი და უნგართა მრავალნი წარჩინებულნი კაცნი. მატარებლის გასტუმრებას დაესწრო ქალაქის საბჭო და დიდ-ძალი საზოგადოება.

18 მარტი

**რომი.** გუშინ მეფისა და დედოფლის თანადასწრებით გაიხსნა სახალხოთაშორისო სამკურნალო კონკრესი.

**ბერლინი.** წოდებათა საბჭომ ერთხმად მიიღო ანარხისტების საწინააღმდეგო კანონი.

**ვენა.** იმპერატორი ფრანც-იოსები მიბრძანდა აბბაციაში, ინახულა დედოფალი გერმანიისა და გერმანიის სამეფო სახლობასთან ერთად ისაუზმა გერმანიის სამხედრო გემზედ „Moltke“-ზედ.

პეტერბურგის ბირჟა, 15 მარტი.

| | მყიდვე-ლისა. | გამყიდ-ველისა. | გაყიდ-ვისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,47 | 7 1/2 | — „ |
| ტამოჟნის კუპონები . | 149 1/4 | 150 | — „ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული. . . . . | — „ | — „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . | — „ | — „ | 243 3/4 |
| —მეორისა . . . . | — „ | — „ | 221 1/2 |
| 4% მესამე სესხისა. . | — „ | — „ | — „ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . | — „ | — „ | 192 3/4 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6% . . . . . | 101 5/8 | — „ | — „ |
| 5% . . . . . | 98 1/2 | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკის 6%. | 101 5/8 | — „ | — „ |
| 5%. . . . . . | 98 1/2 | — „ | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 98 1/4 | — „ | — „ |


# განცხადებანი




ტფილისში ა. არისტაკოვის სააფთიაქო მაღაზიაში და „კავკასიის ამხანაგობის“ საწყობში.

## პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო ვენერიული და სიფილისი.

ე. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10—11 საათ. სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

ი. ფ. პროტასევიჩი,—11 1/2—12 1/2 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელის, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ექიმი ქალი ა. მ. ტურბოვიჩი. 12 1/2—1 საათ. სნეულებანი. დედათა სქესისა.

ა. ზ. კარაპეტიანცი, 1—1 1/2 საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ა. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: ვენერიული და შინაგანი.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7 1/2 საათამდის.

ე. ი. ფრანციუსი, 7—7 1/2 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

## „სიჭაბუკის ცოდვა“

ფრიად კარგი და გამოსაყენებელი წიგნია იმათთვის, ვინც დასნეულებული და დაავადებულია ონანიზმითა და თავაშვებულის ცხოვრებით.

თხზ. დ—რის ლორენციისა.

რუსულად გამოცემული დ—რ გ—ლის მიერ.

ფასი ერთი მანათი.

ამ სასარგებლო წიგნში ბევრი საშუალებაა დასახელებული ზემოხსენებულ მანკის შედეგის ასაცილებლად და დასნეულებულის ჯანისა და ღონის დონეზედ დასაყენებლად.

წიგნი ნება-დართულია მოსკოვის საცენზურო კომიტეტის მიერ.

საწყობი იმყოფება ოტტო ასპერგერთან ლეიპციგს Otto Asperger Leipzig(საქსონიას). უცო-ქვეყნელნი წიგნის გაგზავნის ფასს იხდიან.

